| | | |
|---|---|---|
| | gPower | შპს „ჯიფაუერი“<br>LLC “gPower” |
| გამოცემის თარიღი:<br>Date of Issue: 20.01.2022. | ძალაში შესვლის თარიღი:<br>Valid since: 21.01.2022. | მოქმედების ვადა:<br>Valid till: |
| დოკუმენტის ტიპი:<br>Type of Document:<br>ინსტრუქცია<br>Instruction | რეგისტრაციისა და დოკუმენტის ნომერი:<br>Registration and file No.:<br>gP INS2022001 | |

| | |
|---|---|
| სათაური: | შპს „ჯიფაუერის“ საოფისე შენობიდან პერსონალის ევაკუაციის ინსტრუქცია |
| Title: | Action instruction for personnel evacuation provision from of LLC “gPower” |

| | |
|---|---|
| დამტკიცებულია:<br>Approved by:<br><br>ხელმძღვანელის თანამდებობა: გენერალური დირექტორი<br>Position of Manager: General Director<br><br>სახელი, გვარი: მიხეილ ბოცვაძე<br><br>Name: Mikheil Botsvadze | ხელოწერა:<br>Signature: |

## 1. შესავალი დებულებები:

### 1.1. მიზანი

წინამდებარე ინსტრუქციის მიზანს წარმოადგენს ხანძრის პირობებში კომპანიის ცალკეული თანამშრომლის და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მოქმედებების განსაზღვრა.

### 1.2. დოკუმენტებთან კავშირი

წინამდებარე ინსტრუქცია შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებასთან ,,ტექნიკური რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ'' და მოქმედ კანონმდებლობასთან.

### 1.3. მოქმედების სფეროს განსაზღვრა

ინსტრუქცია სავალდებულოა კომპანიის ყველა იმ თანამშრომლისთვის ვინც მონაწილეობას იღებს წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრულ პროცესებში.

## 2. ძირითადი ტერმინების განმარტება

2.1. კომპანია – „შპს ჯიფაუერი";

2.2. ევაკუაცია – ადამიანთა ორგანიზებული დამოუკიდებელი მოძრაობის პროცესი, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების არადამოუკიდებელი გადაადგილება მომსახურე პერსონალის დახმარებით გარეთ ან უსაფრთხო ზონაში იმ სათავსებიდან, რომლებშიც არსებობს მათზე ხანძრის საშიში ფაქტორების ზემოქმედების შესაძლებლობა.

## 3. შპს „ჯიფაუერის" საოფისე შენობიდან პერსონალის ევაკუაციის ინსტრუქცია.

### 3.1. პირი, რომელიც პირველი აღმოაჩენს ხანძრის კერას ვალდებულია:

3.1.1. შეატყობინოს ხანძრის შესახებ გვერდით მყოფ ადამიანებს და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს.

3.1.2. გამოიძახოს სახანძრო-სამაშველო სამსახური ნომერზე - ,,112", აუცილებელია ობიექტის ზუსტი მისამართის, დასახელების და ხანძრის კერის ადგილის მითითება.

### 3.2. ხანძრის დროს ობიექტზე მყოფი სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, თავის სამოქმედო არეალში ვალდებულია:

3.2.1. მიაწოდოს ხანძრის შესახებ ინფორმაცია შენობაში მყოფ ადამიანებს;

3.2.2. დარწმუნდეს, რომ ყველა საევაკუაციო გასასვლელი ღიაა და საევაკუაციო გზები არ არის ჩაკეტილი ცეცხლით და არ არის დაკვამლიანებული.

3.2.3. ორგანიზება გაუკეთოს მაუწყებლობას ხანძრის შესახებ და ადამიანთა ნაკადის მართვას ევაკუაციის გეგმის მიხედვით, არ დაუშვას შემხვედრი და ურთიერთმკვეთი ადამიანების ნაკადების შექმნა.

3.2.4. მიიღოს ზომები სათავსოებში ჰაერის შეღწევის საწინააღმდეგოდ (დახუროს ფანჯრები, კარებები, გამწოვი კარადები, გამორთოს ვენტილაციის და კონდიცირების სისტემები). გამორთოს განათება, მჭიდროდ დახუროს კარებები (არ დაკეტოს გასაღებით) მომიჯნავე ოთახებში ცეცხლის და კვამლის გავრცელების აღსაკვეთად.

3.2.5. ევაკუაციის დროს უზრუნველყოს სიმშვიდის შენარჩუნება, არ დაუშვას წინმავალთა გადასწრება, პანიკური მდგომარეობის შექმნა.

3.2.6. აწარმოოს ადამიანთა სრული ევაკუაციის კონტროლი. ფიზიკურად სუსტი და ფსიქოლოგიურ შოკში მყოფი ადამიანების დასახმარებლად გამოყოს პასუხისმგებელი პირები.

3.2.7. ევაკუირებულთა თავშეყრის ადგილზე გადაამოწმოს ევაკუირებულთა საერთო რაოდენობა. განახორციელოს ევაკუირებული ადამიანების თავმოყრა სპეციალურად გათვალისწინებულ თავშეყრის ადგილზე; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების არადამოუკიდებელი გადაადგილება მომსახურე პერსონალის დახმარებით გარეთ ან უსაფრთხო ზონაში იმ სათავსებიდან, რომლებშიც არსებობს მათზე ხანძრის საშიში ფაქტორების ზემოქმედების შესაძლებლობა.

3.2.8. განახორციელოს ევაკუირებული ადამიანების აღრიცხვა, ვინაობის და რაოდენობის დაფიქსირება.

3.2.9. განახორციელოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის დახვედრა.

3.2.10. სახანძრო სამაშველო დანაყოფის ხელმძღვანელს მიაწოდოს ინფორმაცია შექმნილი ვითარების შესახებ, ხანძრის კერასთან ადამიანთა ყოფნის შესახებ (თუ ასეთი არსებობს), ხანძრის ჩასაქრობად გატარებული ღონისძიებების შესახებ, თანამშრომლების შესახებ რომლებიც დაკავებული არიან ხანძრის ქრობით.

**3.3. ხანძრის დროს ობიექტზე მყოფი პერსონალი ვალდებულია:**

3.3.1. დაემორჩილოს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მითითებებს;

3.3.2. ევაკუაციისას იმოძრაოს ევაკუაციის გეგმის მიხედვით, არ დაუშვას შემხვედრი და ურთიერთმკვეთი ადამიანების ნაკადების შექმნა;

3.3.3. ევაკუაციის დროს შეინარჩუნოს სიმშვიდე, არ გაასწროს წინ მიმავალს, არ ჩავარდეს პანიკაში;

3.3.4. დაეხმაროს ფიზიკურად სუსტ და ფსიქოლოგიურ შოკში მყოფ ადამიანებს;

3.3.5. აუცილებლად გამოცხადდეს ევაკუირებულთა თავშეყრის ადგილზე და გაიაროს რეგისტრაცია;

**3.4. დაცვის თანამშრომლებს, სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად ევალებათ:**

3.4.1. ადამიანების ორგანიზებული გაყვანა ევაკუაციის ინსტრუქციის შესაბამისად (დანართი 1);

3.4.2. ხანძრის ჩაქრობის სამუშაოების ორგანიზება მისი აღმოჩენიდან სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მოსვლამდე;

3.4.3. შეძლებისდაგვარად მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია.

**დანართი 1**

## პერსონალის ევაკუაციის ინსტრუქცია

| No | მოქმედებების დასახელება | მოქმედებების წესი და თანმიმდევრობა | შემსრულებლი |
|---|---|---|---|
| 1 | შეტყობინება ხანძრის შესახებ | სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახება ნომერზე -“112” აუცილებელია ობიექტის ზუსტი მისამართის, დასახელების და ხანძრის კერის ადგილის მითითება | პირი, რომელმაც აღმოაჩინა ხანძარი. |
| 2 | მაუწყებლობა ხანძრის შესახებ | ხანძრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შენობაში მყოფი ადამიანებისათვის | სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, დაცვის სამსახურის მორიგე თანამშრომლები |
| 3 | ადამიანთა ევაკუაცია შენობიდან | ადამიანების ორგანიზებული გაყვანა ევაკუაციის გეგმის მიხედვით | სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, დაცვის სამსახურის მორიგე თანამშრომლები |
| 4 | ევაკუირებულთა აღრიცხვა | ევაკუირებული ადამიანების თავმოყრა სპეციალურად გათვალისწინებულ თავშეყრის ადგილზე, მათი აღრიცხვა, ვინაობის და რაოდენობის ფიქსირება | სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები დაცვის სამსახურის მორიგე თანამშრომლები |
| 5 | ხანძრის ჩაქრობა და ქონების ევაკუაცია | ხანძრის ჩაქრობის სამუშაოების ორგანიზება მისი აღმოჩენის მომენტიდან სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისვლამდე; შეძლებისდაგვარად მატერიალურ ფასეულო-ბათა ევაკუაცია | სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები დაცვის სამსახურის მორიგე თანამშრომლები |
| 6 | სახანძრო-სამაშველო დანაყოფის დახვედრა | სახანძრო-სამაშველო სამსახურების დახვედრა, ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელისათვის შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმაციის გადაცემა | სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები დაცვის სამსახურის მორიგე თანამშრომლები |